

დანართი №1



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სამუსიკო შემსრულებლობა
(კლავიშოანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
23.06.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი
30.07.2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	24
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	34
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	36
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	41

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - (საჯარო სამართლის იურიდიული პირი)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან თაყაიშვილი - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა კობახიძე - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემია, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Musical performance (Keyboard Instruments; Vocal Arts; Orchestral)
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამშემსრულებლო ხელოვნების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215 მუსიკა და სამშემსრულებლო ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული: 2019 13 ივნისი N126
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	შემოქმედებითი ტური

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მითითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამუსიკო შემსრულებლობა“ (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო) მიზნად ისახავს შემოქმედებითი ინდივიდუალობისა და დამოუკიდებელი მხატვრული ხედვის მქონე მუსიკოს-შემსრულებლის ჩამოყალიბებას.

სტრუქტურირებული მრავალფეროვანი სასწავლო კურსების საფუძველზე სტუდენტს უნდა განუვითარდეს მუსიკოს-შემსრულებლისათვის აუცილებელი პრაქტიკულ-შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარები, გამოუმუშავდეს ინდივიდუალური ხედვა და მიდგომები და მოემზადოს მხატვრული სახის შესაქმნელად და მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

შემოქმედებითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სწავლებისა და სწავლის მეთოდების მრავალფეროვნებაც, რაც სტუდენტს აძლევს ცოდნის მიღების, მხატვრული იდეების გენერირებისა და რეალიზების, თვითგამოხატვის, ინდივიდუალური და ანსამბლური მუშაობის, კვლევითი სამუშაოს წარმართვის შესაძლებლობას სალექციო, საპრეზენტაციო, სარეპეტიციო, საკონცერტო ფორმატში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური პერსონალი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

დოკუმენტაციის განხილვა დისტანციურად მოხდა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განხილვისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე შეათანხმეს თავიანთი შეხედულებები. მოსაზრებები ჩამოაყალიბდა დასკვნის პროექტის სახით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

განსახილველად წარმოდგენილი იყო 3 სტანდარტი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა (ნაწილობრივ).

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია

4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
---	-----------------------------------	-----------------

მასალის შესწავლისა და ერთობლივი განხილვის შედეგად დადგინდა, რომ 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს; 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა სტანდარტების კომპონენტები შეესაბამება მოთხოვნებს, 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მუშაობის პროცესში გამოიკვეთა საკითხები, რომელთა ცვლილების საჭიროება ექსპერტებმა რეკომენდაციის სახით ჩამოაყალიბეს. ასევე, გაცემულია გარკვეული რაოდენობის რჩევები, რომელთა შესრულება, მათი აზრით, განავითარებს საგანმანათლებლო პროგრამას.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს დარგობრივი მახასიათებლისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად.
- რეკომენდირებულია, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანა საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების დაყოფა სემესტრების მიხედვით, რადგან საგანმანათლებლო პროგრამის ყველა ძირითადი სპეციალური საგანი ოთხი/სამი სემესტრის მანძილზე ისწავლება. ეს სასწავლო კურსები წარმოდგენილია მხოლოდ 1 სილაბუსის სახით, რის გამოც არ ჩანს მათი ეტაპობრივი განვითარება.
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობაში დასაზუსტებელია დაშვების წინაპირობები - ამოსაღებია ინფორმაცია ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების შესახებ.

რჩევები

- ✓ სასურველია, სწავლების მე-7 საფეხურის გათვალისწინებით, სასურველია, მიზნებში მეტად იყოს წარმოჩენილი კვლევითი კომპონენტი, რომელიც, რეალურად, გათვალისწინებულია პროგრამაში
- ✓ სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტში, ნაწილში ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, კორექტირებას საჭიროებს ინფორმაცია დეტალური სფეროს დასახელების და კოდის შესახებ.
- ✓ სასურველია, აღინიშნოს, რომ სილაბუსების ფორმატი, კერძოდ, სასწავლო კურსების ნაწილი განახლებას საჭიროებს ლიტერატურის, მეთოდების, შედეგების ეტაპობრივად გაწერის მხრივ
- ✓ როგორც კურიკულუმიდან ირკვევა, არჩევითი საგნები (5 ECTS კრედიტი) II სემესტრში ისწავლება. სასურველია დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა მათ შესახებ
- ✓ სასურველია, შემოქმედებითი ტურის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სრული სახით იყოს წარმოდგენილი პროგრამის აღწერილობაში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

- ✓ სასურველია, რომ ვებგვერდზე იმპლემენტდეს კონკრეტული ინფორმაცია 2026-2027 სასწავლო წლისთვის შემოქმედებითი ტურის შესახებ
 - ✓ სასურველია, სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე, ჩამონათვალის გამდიდრება და ისეთი მეთოდების და ფორმების დასახელება, რომლებიც პროგრამის შინაარსიდან მომდინარეობს და ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება კიდეც. მაგალითად, პრობლემის გადაჭრა, შემთხვევის ანალიზი, სტუდიო კლასი, გონებრივი იერიში
 - ✓ შეფასების პროცესში ნაკლებად ჩნდება თვითშეფასება და ერთობლივი შესრულების შეფასება. სასურველია ამ შესაძლებლობის უფრო აქტიური გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული რეფლექსიის განვითარებას
 - ✓ სასურველია, წარმოდგენილი იყოს ყველა თანამშრომლის CV
 - ✓ სასურველია, უნივერსიტეტის თანამშრომლები უზრუნველყოფილი იყვნენ და ისარგებლონ კორპორაციული ელექტრონული ფოსტით.
- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:
- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;
 - სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
 - აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
 - ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;
 - თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴
 - ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე
- ინსტიტუციიდან მიღებული დოკუმენტაცია პროგრამის კურიკულუმის განახლებულ ვერსიას წარმოადგენს, სადაც ასახულია დასკვნის პროექტში გამოთქმული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი:
1. შეცვლილი და გაფართოებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, გათვალისწინებულია დარგობრივი მახასიათებლისა და სწავლების საფეხურის მოცემულობა;
 2. პროგრამის სახელწოდების დამაზუსტებელი ნაწილი, რეკომენდაციის თანახმად, შეიცვალა და ჩამოყალიბდა კლასიფიკატორის მიხედვით:
(კლავიშოანი საკრავები; ვოკალი; სიმებიანი საკრავები; ჩასაბერი საკრავები).
პირველადი ვერსია იყო:
 - ფორტეპიანო; • აკადემიური სიმღერა; • საორკესტრო ;
 3. დოკუმენტის წარმოდგენილ ვერსიაში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არის მოყვანილი პროგრამაზე მიღების წინაპირობები.
- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

⁴ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია
1.1	<u>პროგრამის მიზნები</u>	მეტწილად შესაბამისობაშია
1.2	<u>პროგრამის სწავლის შედეგები</u>	შესაბამისობაშია
1.3	<u>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</u>	შესაბამისობაშია
1.4	<u>საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</u>	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	<u>სასწავლო კურსი/საგანი</u>	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია
2.1	<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</u>	მეტწილად შესაბამისობაშია
2.2	<u>პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</u>	შესაბამისობაშია
2.3	<u>სწავლება-სწავლის მეთოდები</u>	შესაბამისობაშია
2.4	<u>სტუდენტების შეფასება</u>	შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	<u>სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები</u>	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	<u>მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა</u>	აირჩიეთ შესაბამისი
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
4.1	<u>ადამიანური რესურსი</u>	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	<u>მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია</u>	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	<u>აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</u>	აირჩიეთ შესაბამისი
4.4	<u>მატერიალური რესურსი</u>	აირჩიეთ შესაბამისი
4.5	<u>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</u>	აირჩიეთ შესაბამისი
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	<u>შიდა ხარისხის შეფასება</u>	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	<u>გარე ხარისხის შეფასება</u>	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	<u>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</u>	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)

[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე](#)
[შეფასების კრიტერიუმები](#)

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს რამდენიმე მიმართულებას: კლავიშიანი საკრავები, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო, რომლებიც შინაარსით, სტრუქტურითა და სასწავლო კომპონენტებით ორიენტირებულია სტუდენტთა შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარების გადრმავებაზე. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამუსიკო შემსრულებლობა“ (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო) გარკვეულწილად ითვალისწინებს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს.

პროგრამის კურიკულუმში მისი მიზნები შემდეგი სახითაა ფორმულირებული:

- თანამედროვე გარემოზე ორიენტირებული სამუსიკო ხელოვნების მაგისტრის ხარისხის სოლისტისა და მუსიკოს-შემსრულებლის მომზადება;
- საშემსრულებლო რეპერტუარის და შემოქმედებითი მსოფლმხედველობის გაფართოება;
- თანამედროვე პედაგოგიკასა და საშემსრულებლო ხელოვნებაში დამკვიდრებული ტენდენციების შესწავლა და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში რამდენადმე ზოგადი ფორმულირებებითაა წარმოჩენილი კავშირი სწავლის სფეროსთან, დარგობრივ მახასიათებელთან, სწავლების საფეხურთან. შედარებისთვის მოვიყვანთ ამონარიდს დარგობრივი მახასიათებლიდან, შედეგების ნაწილიდან, რომელიც უნარებს ასახავს:

- ✓ იყენებს მრავალფეროვან ინტერაქციულ ფორმებს სხვადასხვა აუდიტორიასთან ურთიერთობისათვის;
- ✓ ინფორმაციული და/ან საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სფეროსთვის სპეციფიკური შემოქმედებითი/კვლევის მეთოდების გამოყენებით ასრულებს და/ან

ქმნის ტექსტურ/მუსიკალურ შემოქმედებით/კვლევით/საშემსრულებლო ნაშრომს/პროექტს/კონცერტს/პორტფოლიოს და ახდენს მის პრეზენტირებას;

- ✓ სხვადასხვა ჟანრის, სტილისა და ეპოქის, კულტურული თავისებურებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით/ სხვადასხვა გამომსახველი საშუალებების გამოყენებით და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ახდენს შემოქმედებითი იდეის/მასალის/კონცეფციების გენერირებას/ ინტერპრეტირებასა და რეალიზებას;
- ✓ ახდენს საკუთარი ცოდნის ინტეგრირებას ახალ და/ან უცნობ და ცვალებად გარემოში და დამოუკიდებლად გადაჭრის სხვადასხვა სირთულის ამოცანას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნებში მეტად უნდა აისახოს დარგობრივი სპეციფიკა სტუდენტის მხატვრული ხედვისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის ჩამოყალიბების მიმართულებით. მით უმეტეს, რომ ეს მოცემულობა უსდ-ის მიერ გამოკვეთილია სწავლის შედეგებში და, ასევე, შემოქმედებითი პროექტის სახით (კრიტერიუმები - სტილის და ფორმის შეგრძნება, ტექნიკური სრულყოფილება, მხატვრული სახის გააზრება, სცენიურობა და არტისტიზმი), რომელიც მოეთხოვება სტუდენტს პროგრამის დასრულებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების მე-7 საფეხურთან შესაბამისობის გათვალისწინებით, პროგრამის სწავლების მიზნები საჭიროებს აკადემიურ და კვლევით პროცესებში სტუდენტის მონაწილეობის წარმოჩენას. მით უმეტეს, რომ მაგისტრანტები გადიან სასწავლო კურსს: „კვლევისა და ანალიტიკური აზროვნების საფუძვლები“ და, ასევე, ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს (შეფასების კრიტერიუმები - ნაშრომის თემის და მიზნის გამოკვეთა; თემის მიზნის, აქტუალობის, ამოცანების და მეთოდოლოგიის გამოკვეთა და განხილვა; საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი; ნაშრომის პრაქტიკული ღირებულების განსაზღვრა; გამოყენებული ლიტერატურის ფლობა; ნაშრომის პარამეტრების დაცვა). კურიკულუმსა და სასწავლო კურსებში ასახული ორიენტირები არ იკვეთება პროგრამის მიზნებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მიზნები დარგისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად ჩამოყალიბდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- სამუსიკო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

რეკომენდაციები

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს დარგობრივი მახასიათებლისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	მეტწილად შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა, ძირითადად, შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდა სწავლის სფეროს თავისებურებებსა და კლასიფიკატორის მახასიათებლებზე დაყრდნობით, ხოლო განმსაზღვრელი კომპეტენციები დაზუსტდა დამსაქმებელთა მოთხოვნების, მათი შეფასების და მიღწევის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში სწავლის შედეგები სამი კომპონენტის მიხედვით არის წარმოდგენილი (სულ 8), რაც რაოდენობრივად ასე ნაწილდება: 1) ცოდნა და გაცნობიერება - 2 შედეგი, 2) უნარი - 3 შედეგი, 3) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - 3 შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

1. ავლენს, შესაბამისი სპეციალობის, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის, სტილისა და ეპოქის, კულტურული თავისებურებებისა და ტრადიციების (საშემსრულებლო/თეორიული), მუსიკის გამომსახველობითი საშუალებების სიღრმისეულ ცოდნას; 2. ახდენს სამუსიკო შემსრულებლობასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების/პედაგოგიკის ცოდნის დემონსტრირებას.

უნარები

3. მაღალ პროფესიულ დონეზე ამზადებს/ასრულებს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის საკონცერტო პროგრამას; 4. შემოქმედებითი მიდგომით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ან/და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დამოუკიდებლად ახდენს შემოქმედებითი იდეის/მასალის/კონცეფციების გენერირებას/ინტერპრეტირებასა და რეალიზებას; 5. აქვს საკუთარი ცოდნის უცნობ და ცვალებად გარემოში ინტეგრირების უნარი.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

6. საკუთარი და სხვისი შემოქმედების შეფასებისას იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; 7. ადაპტირდება ახალ და ცვალებად გარემოში; 8. საქმიანობისას ავლენს პასუხისმგებლობას და გუნდური მუშაობის უნარს.

სწავლის შედეგები, ძირითადად, შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა სწავლების მე-7 საფეხურის გათვალისწინებით, სასურველია, შედეგებში მეტად იყოს ხაზგასმული კვლევითი კომპონენტი, რომელიც წარმოჩენილია პროგრამაში.

2026-2027 სასწავლო წლისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 3 სტუდენტის მიღება.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას. შედეგების მიღწევას ემსახურება, ასევე, პროგრამის სტრუქტურაში კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- დარგობრივი მახასიათებელი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სწავლების მე-7 საფეხურის გათვალისწინებით, სასურველია, მეტად იყოს წარმოჩენილი კვლევითი კომპონენტი, რომელიც ხაზგასმულია პროგრამაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგების შეფასება რამდენიმე სახითაა მოცემული.

პირველ რიგში, ინდივიდუალურად ფასდება თითოეული სასწავლო კურსი სწავლის შედეგებთან მიმართებაში, რაც სწავლის შედეგების რუკით არის წარმოდგენილი და თითოეულ დისციპლინასთან დაკავშირებით იძლევა ინფორმაციას. მაგალითად, თავისუფალი შემოქმედებითი პროექტი რამდენიმე სწავლის შედეგის გასწვრივ არის მონიშნული, როგორც განმტკიცება - ე. ი. სტუდენტი ავლენს მაღალი დონის კომპეტენციას და ხდება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ამასთან ერთად, განმტკიცებითაა მონიშნული მე-3 და მე-4 სემესტრის ყველა სპეციალური კურსი თითოეული შედეგის გასწვრივ.

აქვე შეფასებულია პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტი, სადაც მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი; განხორციელების ადგილი; სწავლება-სწავლის მეთოდ(ებ)ი; შეფასების მეთოდ(ებ)ი; შემფასებელი; სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულებები. ამ მხრივ შეფასდა სასწავლო კურსები, სადაც სალექციო, ჯგუფში მუშაობის და ლაბორატორიული მეთოდები და პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები გამოიყენება, შემფასებლები პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ხათუნა მანაგაძეა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფის წევრებთან ერთად. ხოლო მტკიცებულება კი იქნება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფის ანგარიში. იგივე სახის დოკუმენტი - ანგარიში იქნება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესშიც, რომლის შემფასებლები სტუდენტის შერჩეული თემის მიხედვით განისაზღვრებიან.

თვითშეფასების ანგარიშში ვხვდებით, ასევე, „შემფასებლის ცხრილს“, საიდანაც თითოეული შედეგის გასწვრივ განთავსებულია ინფორმაცია: 1) ვინაა შედეგის შემფასებელი; 2) რა არის სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებები.

სწავლის შედეგი	შემფასებელი	სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებები
ყველა შედეგი	საგნის ლექტორი პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის სამსახური	შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგები

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა დასაქმების რეალურ შესაძლებლობებს. კურიკულუმში შედეგების შესაბამისად, მიმართულებების მიხედვით არის მითითებული კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა: „შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებული თავის რეალიზაციას შეძლებს:

ფორტეპიანო: საკონცერტო ესტრადაზე-სოლისტი, ანსამბლის წევრი, კონცერტმაისტერი. პედაგოგი სამუსიკო სკოლაში.

აკადემიური სიმღერა: საოპერო თეატრებსა და საოპერო სტუდიაში სოლისტი, გუნდის მომღერალი, პედაგოგი სამუსიკო სკოლაში.

საორკესტრო: საკონცერტო ესტრადაზე სოლისტი, კამერული ანსამბლის წევრი, სიმფონიური ორკესტრის მსახიობი, პედაგოგი სამუსიკო სკოლაში.“

მსგავსი განაცხადი მით უფრო ყურადსაღებია, რომ რეგიონში არსებობს და ფუნქციონირებს სპეციალური სამუსიკო განათლების ყველა რგოლი - სამუსიკო სკოლები, სტუდიები, სამუსიკო სასწავლებელი, უნივერსიტეტი, ასევე, მრავალრიცხოვანი, განსხვავებული სახის მუსიკალური კოლექტივები.

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში აღნიშნულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყვნენ დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</u>	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„სამუსიკო ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება სწავლის სფეროს აღწერილობას და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერებს. პროგრამაში გაერთიანებული რამდენიმე მიმართულება 1) კლავიშოვანი საკრავები, 2) აკადემიური სიმღერა, 3) საორკესტრო თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და სასწავლო კომპონენტებით არის ორიენტირებული პროფესიის დაუფლებაზე, სტუდენტთა შემოქმედებითი ხედვისა და საშემსრულებლო უნარების თანმიმდევრულ განვითარებაზე, მათი თვალსაწიერის გაფართოებაზე.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პროფესიისთვის აუცილებელი, საფეხურის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციების ფორმირება. სასწავლო კურსების ჩამონათვალი ემსახურება სტუდენტის განათლების გაღრმავებას, მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის განვითარებას, მხატვრული სახის შექმნისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას, პროფესიულ გარემოში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარების ჩამოყალიბებას, ასევე, პედაგოგიური უნარების ფორმირებას.

საგანმანათლებლო პროგრამა 2 წელზეა გათვლილი და 4 სემესტრს მოიცავს; თითოეული სემესტრი 15 სასწავლო და 4 სასესიო კვირას გრძელდება.

120 ECTS-იან პროგრამაში სასწავლო კურსები შინაარსობრივად თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი და შედგენილია წინაპირობების (არსებობის შემთხვევაში) დაცვით, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობას.

პროგრამა მოიცავს:

- ✓ ძირითადი სპეციალობის საგნები – 115 კრედიტი;
- ✓ საფაკულტეტო არჩევითი საგნები – 5 კრედიტი;

მესამე და მეოთხე სემესტრში სტუდენტი წარადგენს შემოქმედებით პროექტს და სამაგისტრო ნაშრომს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, ძირითადი ჩარჩო ერთიანია ყველა სპეციალობისთვის. შესაბამისად, სასწავლო კურსების ნაწილიც საერთოა პროგრამის სამივე მიმართულებისათვის. პროგრამის სტრუქტურა და კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა აგებული და შედეგების მიღწევას ემსახურება. მაგალითად, სპეციალობის საერთო კურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია დარგის სპეციფიკასა და საფეხურის მოთხოვნებთან:

- სამუსიკო პედაგოგიკა,
- მუსიკის ფსიქოლოგია,
- პრაქტიკული პედაგოგიკის მეთოდური საფუძვლები,
- თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია,

- XX საუკუნის მუსიკის ისტორია,
- კვლევისა და ანალიტიკური აზროვნების საფუძვლები,
- სამაგისტრო ნაშრომი
- თავისუფალი შემოქმედებითი პროექტი.

სპეციალობის ძირითადი კურსები ითვალისწინებს კონკრეტული კონცენტრაციის სპეციფიკას და სპეციალობის კლასთან ერთად მოიცავს დასახელებული მიმართულებების განმსაზღვრელი სპეციალური დისციპლინების ჩამონათვალსაც. მაგალითად, აკადემიური სიმღერის მიმართულებით სპეციალობას ემატება სასწავლო კურსები - კამერული სიმღერა და საოპერო სტუდია, სადაც შედის მუშაობა რეჟისორთან.

აღსანიშნავია, რომ კონცენტრაცია საორკესტრო 2 ჯგუფის საკრავებს - სიმებიანსა და ჩასაბერ საკრავებს აერთიანებს. 3 სასწავლო კურსის დასახელება, სწავლების ფორმები, შეფასების სისტემა მსგავსია. სილაბუსი საერთოა, მითითებულია ლექტორების გვარები. განსხვავებულია მხოლოდ 1 შემთხვევაა, რაც ერთმანეთის მსგავსი 2 სილაბუსითაა გადმოცემული: საკვარტეტო კლასი და სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და კონცენტრაციები ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა დასაქმების რეალურ შესაძლებლობებს. რეგიონში არსებობს და ფუნქციონირებს სპეციალური სამუსიკო განათლების ყველა რგოლი - სამუსიკო სკოლები, სტუდიები, სამუსიკო სასწავლებელი, უნივერსიტეტი, ასევე, მრავალრიცხოვანი მუსიკალური კოლექტივები.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია საჭიროებს დაზუსტებას, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანას:

- განსახილველი პროგრამის სახელწოდებაა სამუსიკო შემსრულებლობა, კლასიფიკატორში განსაზღვრულია, როგორც საშემსრულებლო ხელოვნება.
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით - დეტალურ სფეროში - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება გაერთიანებულია 13 მიმართულება. პროგრამა ამ მიმართულებებიდან რამდენიმეს მოიცავს:

0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	
0215.1.8 საშემსრულებლო ხელოვნება	
კლასიფიკატორით განსაზღვრული	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი
კლავიშიანი საკრავები	კლავიშიანი საკრავები
ვოკალი	აკადემიური სიმღერა
• სიმებიანი საკრავები • ჩასაბერი საკრავები • დასარტყამი საკრავები	საორკესტრო

• საგუნდო დირიჟორობა • საოპერო სიმფონიური დირიჟორობა • კონცერტმასტერი • ჯაზ-ორკესტრის საკრავები • ჯაზ-ვოკალი • პოპ მუსიკა • ტრადიციული მუსიკა • მველებური მუსიკალური საკრავები	
---	--

მიმართულებების შედარებისას ჩანს, რომ ბხსუ-ის ჩამონათვალი ნაწილობრივ ემთხვევა კლასიფიკატორის მოცემულობას. ვოკალის აკადემიურ სიმღერად/აკადემიურ ვოკალად წოდება დამკვიდრებულია ანალოგიურ პროგრამებშიც. თუმცა ნაკლებად მისაღებად მიგვაჩნია საორკესტრო მიმართულების საკრავების საერთო სახელწოდება საორკესტრო, რაც, თავის მხრივ, დაუსრულებელ ფორმას წარმოადგენს. ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას, რომ პროგრამის კონკრეტული მიმართულების დასახელება ჩამოყალიბდეს კლასიფიკატორის შესაბამისად. საბოლოო ვერსიის მისაღებად, სასურველი იქნება კონსულტაცია დარგის ექსპერტებთან და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სახელწოდება კურიკულუმში მოცემულია შემდეგი სახით: სამუსიკო შემსრულებლობა • ფორტეპიანო (კლავიშაანი საკრავების ნაცვლად); • აკადემიური სიმღერა; • საორკესტრო, რაც შესწორებას საჭიროებს.

- რაც შეეხება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამით ის განსაზღვრულია, როგორც სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი. თუმცა კლასიფიკატორისა და დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (0215.1.8 საშემსრულებლო ხელოვნება).
- თვითშეფასების დოკუმენტში, ნაწილში ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, კორექტირებას საჭიროებს ინფორმაცია დეტალური სფეროს დასახელებისა და კოდის შესახებ. არის:

დეტალური სფეროს კოდი	0215 სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი Master of Music.
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215 სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი Master of Music.

უნდა იყოს:

დეტალური სფეროს კოდი	0215
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215 სამუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- დარგობრივი მახასიათებელი
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანა საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებული კვალიფიკაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტში, ნაწილში ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, კორექტირებას საჭიროებს ინფორმაცია დეტალური სფეროს დასახელების და კოდის შესახებ.
- სასურველია პროგრამის კურიკულუმში სახელწოდება მოცემული იყოს შემდეგი სახით სამუსიკო შემსრულებლობა • ფორტეპიანო; • აკადემიური სიმღერა; • საორკესტრო, რაც შესწორებას საჭიროებს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან.

120 ECTS-იან პროგრამაში სასწავლო კურსები შინაარსობრივად თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი და შედგენილია წინაპირობების (არსებობის შემთხვევაში) დაცვით, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობას.

პროგრამა მოიცავს:

- ✓ ძირითადი სპეციალობის საგნები – 115 კრედიტი;
- ✓ საფაკულტეტო არჩევითი საგნები – 5 კრედიტი;

კურიკულუმის დასკვნით ნაწილს წარმოადგენს შემოქმედებითი პროექტი და სამაგისტრო ნაშრომი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, ძირითადი ჩარჩო ერთიანია ყველა სპეციალობისთვის. შესაბამისად, სასწავლო კურსების ნაწილი საერთოა პროგრამის სამივე მიმართულებისათვის: 1) კლავიშიანი საკრავები, 2) აკადემიური სიმღერა, 3) საორკესტრო. პროგრამის სტრუქტურა და კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა აგებული და შედეგების მიღწევას ემსახურება. მაგალითად, სპეციალობის საერთო კურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია დარგის სპეციფიკასა და საფეხურის მოთხოვნებთან.

- სამუსიკო პედაგოგიკა,
- მუსიკის ფსიქოლოგია,
- პრაქტიკული პედაგოგიკის მეთოდური საფუძვლები,
- თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია,
- XX საუკუნის მუსიკის ისტორია,
- კვლევისა და ანალიტიკური აზროვნების საფუძვლები,
- სამაგისტრო ნაშრომი
- თავისუფალი შემოქმედებითი პროექტი

სპეციალობის ძირითადი კურსები ითვალისწინებს კონკრეტული კონცენტრაციის სპეციფიკას და სპეციალობის კლასთან ერთად მოიცავს სასწავლო კურსებს, რომლებიც განმსაზღვრელია კონკრეტული მიმართულებისათვის.

სპეციალობის ძირითადი კურსების ჩამონათვალი 82 ECTS-ს მოიცავს და მიმართულებების მიხედვით შემდეგი სახით ნაწილდება:

კლავიშიანი საკრავები	სემესტრები	კრედიტების რაოდენობა ECTS	
სპეციალობა	4 სემესტრი	13	52
საკონცერტმანისტერო კლასი	3 სემესტრი	5	15
კამერული ანსამბლის კლასი	3 სემესტრი	5	15
			82
აკადემიური სიმღერა			
სპეციალობა	4 სემესტრი	9	36
კამერული სიმღერა	3 სემესტრი	6	18

საოპერო სტუდია (მუშაობა რეჟისორთან)	4 სემესტრი	7	28
			82
საორკესტრო			
სპეციალობა	4 სემესტრი	10	40
კამერული ანსამბლის კლასი	3 სემესტრი	6	18
საორკესტრო კლასი	4 სემესტრი	4	16
სიმებიანი კვარტეტი / სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი	4 სემესტრი	2	8
			82

როგორც ცხრილიდან ჩანს, სპეციალობის ძირითადი კურსები (115 ECTS) გამჭოლია და 4 / 3 სემესტრის მანძილზე ისწავლება. განსხვავება და კრედიტების რაოდენობა მომდინარეობს მიმართულების სპეციფიკიდან, მაგალითად,

კლავიშოვანი საკრავების მიმართულებით მხოლოდ სპეციალობა (სემესტრი - 13 ECTS კრედიტი) ისწავლება 4 სემესტრის განმავლობაში, ხოლო საკონცერტმაისტერო და კამერულის ანსამბლის კლასები 3-3 სემესტრი (სემესტრი - 5 ECTS კრედიტი);

აკადემიურ სიმღერაზე - სპეციალობასთან (სემესტრი - 9 ECTS კრედიტი)) ერთად, 4 სემესტრის განმავლობაში ისწავლებს საოპერო სტუდია (მუშაობა რეჟისორთან), კამერული სიმღერის კლასი (5) კი, 3 სემესტრის მანძილზე.

საორკესტროზე - სპეციალობა (10 ECTS კრედიტი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 4 სემესტრის განმავლობაშივე ისწავლება კვარტეტი და საორკესტრო კლასი,

სამსემესტრიანი დისციპლინები მეორე სემესტრიდან, პირველი ეტაპის გავლის შემდეგ შემოდის. აქ უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ზემოთ განხილულ სტრუქტურასა და სასწავლო კურსებს უშუალოდ შეესაბამება დასაქმების შესაძლო სფეროები, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი.

„შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებული თავის რეალიზაციას შეძლებს:

ფორტეპიანო: საკონცერტო ესტრადაზე-სოლისტი, ანსამბლის წევრი, კონცერტმაისტერი. პედაგოგი სამუსიკო სკოლაში.

აკადემიური სიმღერა: საოპერო თეატრებსა და საოპერო სტუდიაში სოლისტი, გუნდის მომღერალი, პედაგოგი სამუსიკო სკოლაში.

საორკესტრო: საკონცერტო ესტრადაზე სოლისტი, კამერული ანსამბლის წევრი, სიმფონიური ორკესტრის მსახიობი, პედაგოგი სამუსიკო სკოლაში.“

სასწავლო კურსების ასეთი კომპოზიცია და წინაპირობებით აგებული სტრუქტურა გათვალისწინებულია იმისთვის, რომ უზრუნველყოს უნარების თანმიმდევრული განვითარება. თუმცა 3- ან 4-სემესტრიანი სასწავლო კურსების სილაბუსები ერთიანი სტრუქტურის სახითაა მოცემული. იმ სილაბუსებში, სადაც შედეგები ეტაპობრივად წარმოდგენილი, რეკომენდებულია მათ დაყოფა სემესტრების მიხედვით და განვითარების ჩვენება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალ შემოქმედებით პროექტსა (5 ECTS კრედიტი, III სემესტრი) და სამაგისტრო ნაშრომს (10 ECTS კრედიტი, IV სემესტრი), რომლებიც მიღებული გამოცდილების შემაჯამებელი კომპონენტის ფუნქციას ასრულებენ. აღნიშნული

გარემოება ხაზს უსვამს დარგობრივ მახასიათებელთან და მე-7 დონის აღმწერთან შესაბამისობას: თავისუფალი საბაკალავრო პროექტი წარმოადგენს შემოქმედებითი, პრაქტიკული მიმართულებით შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენას, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი კი სტუდენტის ინტერესების შესაფერისად არჩეული თემის კვლევას წარმოადგენს და მასში მიღებული თეორიული ცოდნა, აკადემიურობა და კვლევითი უნარები ვლინდება. ორივე კომპონენტი მოითხოვს წარდგენის უნარების გამოვლენას. სასურველი იქნება, ორი განსხვავებული ტიპის კურსისთვის სილაბუსები იყოს ორგანიზებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსების ფორმატი, კერძოდ, სასწავლო კურსების ნაწილი განახლებას საჭიროებს ლიტერატურის, მეთოდების, შედეგების ეტაპობრივად გაწერის, მხრივ.

როგორც კურიკულუმიდან ირკვევა, არჩევითი საგნები (5 ECTS კრედიტი) II სემესტრში ისწავლება. სასურველია დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა მათ შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის დაყოფა სემესტრების მიხედვით, რადგან საგანმანათლებლო პროგრამის ყველა ძირითადი სპეციალური საგანი ოთხი/სამი სემესტრის მანძილზე ისწავლება. სასწავლო კურსები წარმოდგენილია მხოლოდ 1 სილაბუსის სახით, რის გამოც არ ჩანს მათი ეტაპობრივი განვითარება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- როგორც კურიკულუმიდან ირკვევა, არჩევითი საგნები (5 ECTS) II სემესტრში ისწავლება. სასურველია დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა მათ შესახებ
- სასურველია სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილი განახლდეს ლიტერატურის მითითების, შედეგების ეტაპობრივად გაწერის მხრივ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>1.5 სასწავლო კურსი/საგანი</u>	მეტწილად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

